მზეკაბანი 2
რუსთავის საერო სკოლა

ანგარიში ფინანსური მდგრადობის შესახებ

შპს მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლის სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებული ყველა აქტივობა არის ფინანსურად უზრუნველყოფილი, მიუხედავათ იმისა რომ სკოლას საჭიროებისა შემთხვევაში აქვს წვდომა ალტერნატიულ კაპიტალზე- სესხის სახით.

ბაზრის ანალიზი და მოთხოვნა

ქალაქი რუსთავი არ გამოირჩევა კერძო სკოლების ფართო არჩევანით თუმცა ქალაქის მოსახლეობის სიდიდან გამომდინარე ქალაქში არსებობს ერთი ათეული კერძო სკოლა, რომლებთან მიმართებაში სკოლა სთავაზობს იგივე ხარისხის მომსახურეობას, თუმცა სკოლას აქვს ყველაზე დაბალი სწავლის გადასახადი რაც კონკურენუნარიანს ხდის დაბალი ფასის მიუხედავათ გარდა ამისა შეუძლია შეინარჩუნოს მისი ფუნქციონირება. მას აქვს პოტენციალი გაზარდოს ცნობადობა საზოგადოებაში. ამ ეტაპზე ეს ხორციელდება მხოლოდ პირადი რეკომენდაციებით, ინტერნეტ ვებ გვერდით და სოციალური მედიით.

შესაძლებლობის გამოყენება და ზრდის პოტენციალი

სკოლა ამჟამინდელიი ფორმით ფუნქციონირებს 2016 წლიდან თუმცა გააჩნია საკმაოდ დიდი გამოცდილება ზოგადი განათლების მართვის სფეროში, გამომდინარე იმ გარემოებიდან რომ იგი ამ ეტაპისთვის წარმოადგენს მცირე კონტიგენტიან სკოლას მისი განვითარება მიმართულია ძირითადად მომსახურეობის ხარისხის გასაუმჯობესებლად რისთვისაც ამ ეტაპზე სკოლაში ფუნქციონირებს საგანმანათლებლო წრეები.

ზოგად საგანმანათლებლო სკოლა

სკოლაში ფუნქციონირებს 12 კლასი, რომლებიც ამჟამად სრულიად არის ათვისებული. არსებობს საგანმანათლებლო წრეები, რომლებიც მუშაობენ პარალელურად დღის საათებში.

მომსახურეობის ხარისხი და მომხმარებელთა კმაყოფილება

მომსახურების მაღალი ხარისხის თვალსაჩინო მაჩვენებელია მომხმარებელთა კმაყოფილება, რეგულარულად ჩატარებული გამოკითხვები ცხადყოფს, რომ მშობლები ძალიან კმაყოფილნი არიან როგორც სწავლების ხარისხით, ასევე ადმინისტრაციის საკომუნიკაციო პოლიტიკით. აღსანიშნავია ასევე ის, რომ მოსწავლის სხვა სკოლაში გადაყვანა იშვიათია და მხოლოდ გარე ფაქტორებით არის ეს განპირობებული.

თანამშრომელთა კმაყოფილება

შპს მზეკაბანი 2 რუსთავის საერო სკოლის თანამშრომლები და პედაგოგები სამუშაო პირობებს პოზიტიურად აფასებენ. ისინი კომფორტულად გრძნობენ თავს სამუშაო ადგილზე. მათ მიერ დადებითად შეფასებულია გამჭირვალე მენეჯმენტის კულტურა სკოლის მიერ შეთავაზებული პროფესიული განვითარების შესაძლებლობები. გამართულია პერსონალის გადამზადების სისტემა როგორც შიდა ასევე ქვეყნის დონეზე. ჩატარებული გამოკითხვების შედეგად ირკვევა რომ ის რასაც გააუმჯობესებდნენ არის ანაზღაურება, რომელიც ცოტა დაბალია ეროვნულთან შედარებით, დროის რესურსის მოთხოვნასთან შეფარდებით. თუმცა სკოლის გამჭირვალე ფინანსური პოლიტიკის გამო ისინი იგებენ, თუ რატომ არის ეს ამჟამად შეუძლებელი.

მზეკაბანი 2
რუსთავის საერო სკოლა

სკოლის მენეჯმენტი

სკოლის ადმინისტრაცია დაკომპლექტებულია განათლებისა და მენეჯმენტის საკითხებში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პირებით. ეს უზრუნველყოფს პროფესიონალურ ორგანიზაციულ მენეჯმენტს, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა

სკოლის მიზნისა და საქმიანობის შესაბამისად, ხარჯების სტრუქტურაში დომინირებს თანამშრომელთა ანაზღაურება. ხელფასის ოდენობა შეიძლება შეფასდეს, როგორც სამართლიანი და შესაბამისი, თუმცა არაა მაღალი. სწავლებიდან მიღებული შემოსავლის უმეტესი ნაწილი ხმარდება კომუნალურებს და გადასახადებს. სახელმწიფო დახმარება (ვაუჩერი თითო ბავშვზე 25 ლარია) შემოსავლის მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენს . მნიშვნელოვან როლს თამაშობს მშობლების მუშაობა. ეს იმის დასტურიცაა, რომ ისინი კმაყოფილნი არიან სკოლის მუშაობით და მზად არიან თავიაანთი წვლილი შეიტანონ განვითარების და წარმატებისათვის. მათ სურვილი აქვთ შვილებმა საშუალო კლასი წარმატებით და სრულყოფილად დაამთავრონ შპს მზეკაბან 2 რუსთავის საერო სკოლაში.
ამრიგად სკოლას აქვს პოზიტიურად მდგრადი ფინანსური პოზიცია.